№ 71. 1 აპრილი. სამშაბათი 1866—1880 1 აპრილი. სამშაბათი № 71.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ვენისმელიანზე, შუასაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ თუთისხევის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებას“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს:	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოსით-რულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

საზაფხულო თეატრში

პარასკევს, 4 აპრილს

ბენეფისი

ვ. აბაშიძისა

ქართული ტრუპპისაგასაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მერკადე

კომედია სამს მოქმედებად, ბალზაკისა

II

ნაპერწკალი

ვოდევილი ორს მოქმედებად

ბილეთები ისყიდება აზნაუროვის მაღაზიაში და თეატრის კასაში

დასაწყისი 8 საათზე

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 29 მარტს. გუშინ აქ გადაიცვალა პროფესსორი კიტტარი. გორჩაკოვი ავად არის, ლოგინში წევს და არავის იღებს. ფინლანდიული ღენერალ-ლეიტენანტი ერნროტი დათანხმდა ბოლგარიის მთავრობის თხოვნაზე, და იჭერს ბოლგარიის სამხედრო მინისტერის ადგილს.

ჩვენს საზოგადო საჭიროებაზედ

ტფილისი, 31 მარტს.

მკითხველთ ამ გაზეთისა უნდა ახსოვდეთ, რომ შარშან მაისში (1879 წელსა) თფილისის საზოგადო გუბერნიის კრებაში იყო განსჯა ჩვენს გაჭირვებულს შვილების აღზრდაზედ; კრებამ ეს საქმე მიანდო უეზდის მარშლებს, რომ ამათ მოახდინონ უეზდებში კრება თავად-აზნაურებისა და ამ ზემოხსენებულს გარემოებაზედ მოილაპარაკონ და როგორც გადაწყვიტონ უეზდებში, იმისი პროტოკოლები წარმოადგინონ გუბერნიის კრებაში.

27-ს ამ მარტსა იყო გორში თავად-აზნაურთა კრება და რაც გადაწყვიტეს, ბოლოს მოგახსენებთ. მხოლოდ ეხლა უნდა წარმოგიდგინოთ ის გარემოება და გაჭირვება ჩვენის სოფლის თავად-აზნაურის შვილების აღზრდისა სასწავლებლებში.

ყოველმა ქართველმა იცის, რომ სჯულით და კანონით ჩვენის შვილებისათვის გახსნილია კარები შუათანა სასწავლებლებისა შესასვლელათ: მაგრამ, საუბედუროდ, იმავე კანონითა ჩვენი შვილები მაშინ მიიღებიან იმ სასწავლებლებში, როცა დაიჭერენ კონკურსის ეგზამენს რუსულს ენაზედ იმ საგნებში, რომელიც არის დანიშნული საკუთარს პროგრამმაში. ჩვენს სოფლებში ძალიან ცოტა თავად-აზნაურებს შეუძლიანთ დაიჭირონ საკუთარი მასწავლებლები, და მოამზადონ შვილი რუსულს ენაზედ. რომელნიც თავის შვილებს თფილისში ამზადებენ დიდის ხარჯით, იმათაც ძალიან უჭირთ შესვლა სასწავლებელში, ამისთვის რომ იმათზედ ყოველთვის უკეთესად არიან მომზადებულნი რუსის ჩინოვნიკების შვილები და თფილისის მოქალაქებისა, რადგანაც იმათთვის რუსული ენა დედა ენა არის (თფილისში მოქალაქის შვილები რა კი აიდგმენ ენას, რუსულათ ლაპარაკობენ).

ჩვენი სოფლის შვილები ერთათ და ერთს დროს იჭერენ კონკურსის ეგზამენს რუსისა და მოქალაქის შვილებთან; რასაკვირველია, რომ ეს უკანასკნელნი უკეთ დაიჭერენ ეგზამენსა და ისინი შეირაცხებიან უპირველესად სასწავლებელში, სადაც სურსთ სწავლა.

მაგალითად მოვიყვან შარშანდელს წელიწადსა: ვაკანსიები იყო ყველა სასწავლებლებში ძალიან ცოტა, ზოგან ოც-და-ათი, ზოგან ცოტა მეტი, მსურველნი ეგზამენიის დაჭერისა იყო ორასი და ზოგან სამასიცა. რასაკვირველია, ამოდენა რიცხვში უნდა ისინი ამოირჩიონ, რომელთაც უკეთესად აქვს რუსული ენა გავარჯიშებული, რომელსაც ეგზემენში პირველი ადგილი უჭირავს.

ამ ნაირად უმეტესობა ჩვენის სოფლის შვილებისა რჩება შკოლის გარეთ და რა კი ყმაწვილი 12-ს წლამდისინ ვერ შევა სასწავლებელში, რჩება სრულებით უსწავლელი.

ამაზედ დიდი ხანია ჩვენს ადგილობრივ გაზეთებში, აგრეთვე საზოგადოებაშიაც იყო განსჯა და ჩივილი იყო ლაპარაკიც რა ღონის-ძიებით მოვემხროთ ჩვენს თავსა, მაგრამ ეს ისევე ლაპარაკით გათავდა. ბევრს იმედი აქვს და ლაპარაკობენ, რომ მმართებლობა ამ საქმეში შეგვეწევაო, ზოგნი ქალაქში მცხოვრებნი იმასაც ამბობენ, რომ ეხლა ქალაქში ოთხი (მეორე ხარისხის) შუათანა სასწავლებლებია, მოამზადეთ და შეიყვანეთო; იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ ეს მომზადება და ყმაწვილის შეყვანა ჩვენი სოფლის კეთილშობილთათვის თითქმის შეუძლებელია. არა თუ ოთხი, რვა შუათანა სასწავლებლები რომ გაიმართოს მმართებლობისაგან, იმავე ზემოხსენებულის მიზეზებით და ახალის მოთხოვნილებით ჩვენს სოფლის შვილებს გაუჭირდებათ შესვლა სასწავლებელში.

მაშასადამე საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენ თვითონვე გავხსნათ იმისთანა სასწავლებელი, სადაც ადვილი იყოს ჩვენის სოფლის შკოლების მიღება და სწავლა, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა ჩვენს ყმაწვილებს შეეძლოთ მიიღონ თავის დედა-ენაზედ და რუსული ენა აქ, როგორც ენა უნდა შეისწავლონ; შემდეგ გიმნაზიების კლასებში კი რუსულს ენაზედ უნდა იყვეს სწავლა და ქართულს ენას ქონდეს თავისი ადგილი გრამმატიკულად შესწავლისა. ამას გარდა ამ შუათანა სასწავლებელში (გიმნაზიაში), რომელსაც ჩვენ გავხსნით, ჩვენის ხარჯით, შეგვიძლიან პროგრამმაში შევიტანოთ იმისთანა საგნები, რომელნიც ჩვენთვის ამ ჟამად ძალიან საჭირონი არიან. და ის საგნები, რომელნიც ამ დროს არ არიან საჭირონი, ესე იგი ლათინური და ბერძნული ენები გამოვრიცხოთ პროგრამმიდგან. ამაზედ მმართებლობა არ იქნება წინააღმდეგი. საზოგადოთ ჩვენს შუათანა სასწავლებელს უნდა ჰქონდეს რეალური მიმართულება. ამ სასწავლებლიდგან კურს დასრულებულთ ყმაწვილებს შეეძლოთ განწესება უმაღლესს ტეხნიკურ სასწავლებლებში. აგრეთვე ქონდეთ სამსახურში ის სწავლის ცენზი (**образовательный цензъ**), რაც სხვა შუათანა სასწავლებელსა აქვს: თუ კურს დასრულებულები სამსახურში არ შევიდნენ, შეეძლოთ შინ ოჯახობა და მეურნეობა.

ამისთანა სასწავლებელს მოუნდება კარგა ფული, ერთი და ორი მაზრა ვერ მოახერხებს იმის გახსნას და მთელი გუბერნიისათვის კი ადვილი საქმეა. ამისთანა კეთილ საქმეში ჩვენი ბანკიც დაგვეხმარება.

რაც მე აქ ზევით მოგახსენეთ ამ სასწავლებლის გახსნაზედ ეს ჩემი ჰაზრი არის,—შეიძლება მაშინ, როდესაც ღონის-ძიება ფულით გვექნება, უფრო საფუძვლიანად და კარგათ შევადგინოთ ჩვენი მომავალის სასწავლებლის პროგრამმა; ამაში მაქვს იმედი, ჩვენი განათლებული ყმაწვილი კაცები შეგვეწევიან.

ჩვენი ქართველების ახლანდელი უბედურება ეს არის, რომ დიდიხანია საზოგადო საქმეებზედ ხელ-აღებული ვართ; დაგვიკრეფია გულზედ ხელები და ვიძახით: ჩვენ ში არა გაკეთდებარაო! ამას უფრო ის პირნი ლაპარაკობენ, რომელთაც ვალი აქვსთ და შეუძლიანთ კიდეც, რომ დაეხმარონ და გაუადვილონ იმ ჩვენს გაჭირვებული მოძმეთა, რომელთაც არა აქვსთ ღონის-ძიება და არც მოხერხება, რომ თავიანთ საზოგადო საქმე, რიგიანათ წაიყვანონ და სიტყვიდან საქმეზედ გადავიდნენ.

27-ს მარტს გორის მაზრის საზოგადო კრებამ გვიჩვენა ჩინებული მაგალითი; ამ კრებამ შემდეგ ახსნისა და გარკვევისა ჩვენის ახლანდელის გარემოებისა თითქმის ერთ ხმით გადასწყვიტა (216 თეთრი კენჭი და 12 შავი) და შეადგინა განაჩენი, რომლითაც ყოველმა კეთილშობილმა კომლზედ დაიდო შკოლის ფული ხარჯათ. ამავე კრებამ გადასწყვიტა, რომ ხარჯი გაიყოს სამს კატეგორიათ: წელიწადში ხუთი მანეთი იმან აძლიოს, რომელსაც ყმები არ ჰყოლია და ცოტა მამული აქვს; ერთი თუმანი და თხუთმეტი მანეთი, შეძლებისამებრ, აძლიონ იმ კეთილშობილთა, რომელთაც ჰყოლიათ ყმები და აქვსთ მამული. ეს ფული უნდა შეიტანონ მაზრის ხაზინაში.

შკოლის ხარჯის გასაწერად შეძლებისამებრ. კრებამ გამოარჩია ექვსი თავად-აზნაურნი, ამათში მაზრის უფროსი თ. რევაზ შალვას ძე ერისთავი და მიროვოი პოსრედნიკი თ. გიორგი ივანეს ძე ციციანოვი. ამათ უნდა ანუსხონ—რამდენი კომლია თავად-აზნაურნი და გაჰყონ შეძლების შესაფერათ სამს კატეგორიათ. ამ გამორჩეულს პირებში, როგორც მახსოვს, არიან თ. ნიკოლა დიასამიძე, ანტონ ფურცელაძე, ისე სიმონის ძე ფაელენოვი, თ, გიორგი ჯავახოვი და სხვანი... ამავე კამისიასა აქვს მინდობილი, რომ დანიშნოს დრო, როდესაც უნდა შეიტანონ ყველამ თავისი ხვედრი ფული ხაზინაში. ამავე კრებამ დაწესა ცალკე პროტოკოლით, რომ, თუ სხვა მაზრებიც დაიდებენ შკოლის ფულს, მაშინ ამ მთელი გუბერნიის მოგროვილს ფულს ექმნება საზოგადო გუბერნიის საშუალო სასწავლებლის გახსნისათვის და თუ სხვა მაზრები არ მოუდგებიან, მაშინ გორის მაზრას ცალკე ექნება ხაზინაში თავისი კასსა თავიანთი შვილების გასაზრდელად.

გორის მაზრის კეთილშობილთ კრებამ 27 მარტს გამოიჩინა თაოსნობა იმისთანა საჭირო და კეთილ საქმეში, როგორც შკოლის საქმე. ჩვენ, ვისაც გვსურს კეთილ-წარმატება ხალხისა, დიდი მადლობელი უნდა ვიყვენთ გორის კეთილშობილთ საზოგადოებისა და იმათი წინამძღო-

მელის თ. ამირინდო ამილახვრისა, რომელმაც აუხსნა და გაუადვილა ეს ნაბიჯი.

კოს. მამაცაშვი.

ახალი ამბები

—

შაბათს, 22 მარტს, გიორგი წერეთელმა წაიკითხა თფილისის კლუბში საზოგადო ლექცია „საქართველოს ძველს დროზედ.“

ეს იყო პირველი ლექცია ქართველისაგან ქართულს ენაზედ წაკითხული და ამიტომ ადვილად წარმოსადგენია ის ინტერესი, რომლითაც იმას ჩვენი საზოგადოება მიევება. მართლაც, დიდი ზალა კლუბისა თითქმის სრულიად გაჭედილი იყო ხალხით, დიდის ამბით მიეგებნენ ლექტორს და თითოეულ იმის სიტყვას გულს-მოდგინეთ უგდებდნენ ყურსა.

თვითონ ლექციის შინაარსზე ჩვენ ცალკე მოვილაპარაკებთ; ახლა კი ორიოდე „ფორმალურს“ შენიშნვას მივსცემთ ლექტორს:

საზოგადო ლექციას იმიტომა აქვს მნიშვნელობა, რომ მაყურებელს ცოცხალი სიტყვა ესმის და ამ სიტყვას უფრო დიდი შთაბეჭდილება აქვს ყოველთვის საზოგადოებაზედ, ვინემ ნაბეჭდსა და წაკითხულს. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ლექტორს კარგათ ჰქონდეს გაკვეთილი და მომზადებული თავის საგანი, რომ ლაპარაკის დროს სიტყვებს ძებნა არ დაუწყოს, არ წაბორძიკდეს ხოლმე, არ შეჩერდეს. ცოცხალ სიტყვას მხოლოთ ამ შემთხვევაში აქვს მაყურებელზე ჯეროვანი ზედმოქმედება.

საუბედუროთ, ეს ღირსება არ ჰქონდა გ. წერეთლის ლექციას. ერთობ ვრცელი საგანი აერჩია, ერთობ დიდ ფარდებზე დაიწყო და ერთს ლექციაზე ვერ შესძლო ამ საგნის განხილვა, დაძლევა; თვითონაც დაიღალა, მაყურებელიც დაღალა და ამ ნაირად ლექციას ცოტა არ იყოს სიცოცხლე აკლდა. გ. წერეთელს ორატორული ნიჭი არა აქვს; მაგრამ უამნიჭოთაც ლექცია ბევრად უფრო უკეთესი იქნებოდა და ცოცხლად წავიდოდა, ლექტორს რომ უფრო მცირე საგანი აელო განსახილველად, კარგათ განესაზღვრა ეს საგანი, რიგიანად მომზადებულიყო და ისე წაეკითხა. ყველაზე უკეთესი კიდევ იქნებოდა, რომ ზეპირათ ელაპარაკნა და არა რვეულით წაეკითხა. ლექციაზე სხვათაშორის, საზოგადო ყურადღება მიიქცია მ. ბებუთოვისა და ვ. თულაშვილისაგან შედგენილმა ჩინებულმა „ადრინდელმა საქართველოს“ კარტამ.

სხვა ზოგიერთი წვრიმალი ნაკლულევანებაც ჰქონდა გ. წერეთლის ლექციას; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ლექცია მაყურებლებისათვის უეჭველად სასარგებლო და საინტერესო ლექცია იყო და სასურველია, რომ ამისთანა ლექციები უფრო ხშირად ყოფილიყოს ჩვენის საზოგადოებისათვის წაკითხულნი სხვა და სხვა საგნებზე. გ. წერეთელი დიდი მადლობის ღირსია ამ საქმის დაწყებისა და თაოსნობისათვის...

⁂

გუშინ წინ კვირა საღამოს მეხუთე საათზე ხელმეორედ გაჩნდა ცეცხლი ზუბალოვის შენობაში, ერევნის მაედანზე; ალი ამოვარდა თორომანჯის მაღაზიიდამ, რომელიც დაკეტილი იყო და რომლის გასაღები „ცეცხლის ზარალისაგან მზღვეველ საზოგადოების“ აგენტს ჰქონდა. გასაკვირველია, როგორ და საიდამ გაჩნდა ცეცხლი დაკეტილ მაღაზიაში. ცეცხლის მქრობი კამანდა მარჯვეთ იყო; ნახევარ საათში დააქრო ცეცხლი; წვიმაც დაეხმარა.

⁂

ჩვენ მივიღეთ პატივცემულის დ. ზ. ბაქრაძისაგან შედგენილი მესამე ისტორიული მონოგრაფია „საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე.“ ეს პატარა წიგნიც იმავე ღირსებით არის შემკობილი, როგორც დანარჩენი იმის ამ გვარივე ბროშურები—„წმ. ნინო“ და „ბაგრატ მეოთხე“.

როგორც ეტყობა, დ. ზ. ბაქრაძე ისე არ აპირებს თავის შრომის წაყვანას, როგორც ჩვეულებრივად იციან ხოლმე ხოლმე, საუბედუროთ, ჩვენში დაიწყებენ ერთს რასმე საქმეს და ბოლოს კი ვერ გაატანენ, სათავეშივე მიაწყვეტენ. ამ ორი თვის განმავალობაში ამ ჩვენმა პატივცემულმა ისტორიკოსმა ეს მესამე ისტორიული მონოგრაფია გამოსცა; თუ შემდეგშიაც არ მოუკლო ამ გვარი თავის შრომა, ქართველ საზოგადოებას შეეძინება ბროშურებათ გამოცემული ჩინებული თხზულება, რომელიც ყველასთვის სასარგებლო და სასიამოვნო საკითხავი წიგნი იქნება.

„ვახტანგ მეექვსე“ სუფთა, კარგი გამოცემაა. ღირს სამ შაურად—იაფია.

⁂

გაზ. „პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„დ. ზ. ბაქრაძე, რომელმანც, სამეცნიერო აკადემიის მინდობილებით ამას წინათ იმოგზაურა გურიაში და აჭარაში და გამოსცა ჩინებული წიგნი ამ ქვეყნების შესახებ, ამ ჟამად სინოდალის კანტორის არხივს არჩევს. ამ არხივში ბევრი ისეთი მასალებია, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ საქართველოს ხალხის შინაგან ცხოვრების გასაცნობად. კანტორის არხივის აქტები (რიცხვით 300-მდინ) თითქმის ყველა საქართველოს ცხოვრების XI საუკუნიდამ იწყება და XIX საუკუნით თავდება. მხოლოთ ზოგიერთი ამ აქტთაგანი განხილულიყო 1847—48 წლებში აკადემიკოსის ბროსესაგან.“

რომელი წესი მამულის დაფასებისა სჯობია, თფილისის ბანკისა თუ ქუთაისისა?

მდგომარე წლის თებერვლის თვეში „დროებაში“ დაბეჭდილი იყო ორი მოწინავე სტატია შესახებ გავრცელებისა ქუთაისის ბანკის მოქმედებისა. ტფილისის გაზეთებში ქუთაისის ბანკზედ ეს ერთი სტატია დაიბეჭდა, რომელშიაც ავტორი წესიერათ და კეთილ-სვინიდისიანათ ცდილობს ახსნას ზოგიერთი კითხვები, რომელნიც ხსენებულს ბანკს შეეხება. იმაში არ იპოვება არავითარი ჭორი და ცილის წამება, რომლითაც ზოგიერთნი მწერალნი ალიჭურვებიან ხოლმე, როცა ქუთაისის ბანკისაკენ გამოილაშქრებენ(?) ამის გამო ეს სტატია ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ და იმ გვარივე სიამოვნებით ვაპირებთ ავტორისაგან აღძრულს საგანზედ მოვილაპარაკოთ.

პირველს სტატიაში, № 35 დაბეჭდილში, ავტორი თანაუგრძნობს ქუთაისის ბანკის მოქმედების გავრცელებას. ის ამტკიცებს, რომ ეს გავრცელება მოქმედებისა ტფილისის გუბერნიაში ქუთაისის ბანკისათვის აუცილებელი იყო. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ საადგილ-მამულო ბანკის, ტფილისის და ქუთაისისა, მოქმედება ერთსა და იმავე ასპარეზზედ ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებაო, თუ ორივე ბანკმა კეთილ სინიდისიანათ იმოქმედაო, ე. ი. თუ მათ ეცადნენ მსესხებლებს შეუსუბუქონ სესხის პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ იმათ ურთი-ერთ შორის ცილება და სხვა და სხვა ურიგო საშვალებით ეცადნენ ერთი მეორის მსესხელები გადიბირონ, ზემოხსენებული მოქმედება მავნებელი და დამღუპველი იქნებაო ორთავე ბანკისა და მაშასადამე ჩვენი ქვეყნისათვისაც საზარალო დარჩებაო.

ჩვენ სრულიად თანახმა ვართ აღწერილის აზრისა. ავტორი ნამდვილს სიმართლეს აღიარებს, როცა ამტკიცებს აუცილებლობას ქუთაისის ბანკის ასპარეზის გავრცელებისა. დღიდამ ამ ბანკის გახსნისა 3 წელიწადზედ მეტი დრო გავიდა და ამ დროს განმავალობაში აღნიშნულმა ბანკმა ძლივს გასცა ერთი მილიონი გრძელვადიანი სესხი, მაშინ, როდესაც მას შეუძლიან ოთხ მილიონზედ მეტი გასცეს. ცხადი იყო, რომ ამოდენა ფულს ბანკი დიდხანს ვერ გასცემდა ქუთაისის გუბერნიაში და აფხაზეთში. ამასთანავე ამბობენ, რომ კავკასიის აქეთა მხარის პრიკაზი მალე დაიხურებაო, ხოლო ტფილისის საზნაურო ბანკს თითქმის სრულიად გაცემული აქვსო ის რაოდენობა ფულისა, რომლის გაცემა ძველი წესდების ძალით მას შეეძლო. ამ გვარათ ერთის მხრით დიდ ძალი კრედიტი გამცდარი იყო და მეორეს მხრით ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი, ჩვენი მოძმენი და მეზობელნი, საჭიროებდენ ამ კრედიტსა. ცხადი იყო, ორთავე მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომ ქუთაისის ბანკს სესხის გაცემა დაეწყო ტფილისის გუბერნიაში.

ზემოხსენებულნი გარემოებანი ჰქონდა მხედველობაში საზოგადო კრებას ქუთაისის ბანკისას, როცა 1879 წლის მაისის თვეში გადასწყვიტა ბანკის მოქმედება გავრცელებულ იყო ტფილისის გუბერნიაში. ამ განჩინებას მმართებლობამ კიდეც ნება დართო და მაშასადამე ეხლა ქუთაისის ბანკს შეუძლიან გასცეს სესხი ტფილისის გუბერნიაშიც.

ზემოხსენებულიდამ ცხადათ სჩანს, რომ ქუთაისის ბანკმა გაავრცელა თავის მოქმედება არა იმ განძრახვით, რომ ამით ტფილისის ბანკს კონკურენცია გაუმართოს. ჩვენ, როგორც გამგებელნი ქუთაისის ბანკისა, ყველას ვეუბნებოდით და ახლა საქვეყნოთ აღვიარებთ შემდეგსა:

ჩვენი ბანკი სააქციონერო ბანკი არ არის, ე. ი. ის არ ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომელნიც ფიქრობენ მხოლოდ თავის ჯიბის გავსებას, და არა მსესხელების სარგებლობას; ჩვენ მუდამ გვახსოვს ის დედა აზრი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა ხელმძღვანელობდა, როცა კეთილშობილურად და გულუხვად თავისი დიდ-ძალი ფული ბანკის დასაარსებელად შესწირა. მას განზრახვა ჰქონდა დაეფუძნებინა ბანკი მტკიცე და სამუდამო საფუძველზედ, რამოდენათაც ადამიანისათვის შესაძლებელია ამ გვარი სურვილი შეასრულოს.

თავად-აზნაურობის თავდა-პირველი სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შესაძლებელი იყო, იაფი კრედიტი მიენიჭებინა ჩვენი მხარისათვის, რომელსაც ფული ასე დიდად ეჭირვება. მოგებაზედ თავად-აზნაურობა ისე არ ფიქრობდა, როგორც ზემოხსენებულზედ. რასაკვირველია, რაც მეტი მოგება ბანკს დარჩება, ქვეყნისათვის უკეთესი იქნება, რადგანაც თავად-აზნაურობამ ეს მოგება საზოგადო საჭიროებას შესწირა; მაგრამ მის განზრახვაში არაოდეს არ ყოფილა, რომ მოგების გამოკიდებით ბანკის დაზარალება და შერყევა შესაძლო ყოფილიყოს. განვიმეორებთ, რომ ჩვენ იმ გზას ვადგივართ, რომელიც ჩვენი ბანკის დამფუძნებელთაგან ნაჩვენები და განკვლეულია. ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენი ბანკის ზედამხედველი კომიტეტიც ამ აზრის არის და ამასთანავე დარწმუნებულნი ვართ, რომ წევრნი ქუთაისის ბანკის საზოგადოებისა ახლაც იმავე აზრის ადგიან.

სიფრთხილე სესხის გაცემაში—ჩვენი დევიზია—ღმერთმა დაგვიფაროს იმ გვარი თავხედობისაგან, რომ გავბედოთ და ვსთქვათ, ვითომც შეუცდომელნი ვიყოთ. ამის თქმას ვერაოდეს ვერ გავბედავთ, რადგანაც ვიცით, რომ როგორც ჩვეულებრივი მამაკვდავნი ადვილათ შესაძლებელია, შევსცდეთ. ჩვენ მხოლოდ ვაღვიარებთ, რომ. რაც ჩვენს ცოდნაზედ, გამოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილებაზედ და გამჭრიახობაზედ დამოკიდებულია, ვცდილობთ ამ აზრით ბანკს არა ვაზარალოთ-რა. დასამტკიცებლად ჩვენი ბანკის საფრთხილისა, მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ, თუმცა მას ერთ მილიონზედ მეტი ფული აქვს გაცემული და 400 უძრავ მამულზედ მეტი დაგირავებული, მაგრამ ჯერ, ღვთის მადლით, თავის მსესხებლებზე ერთი კაპეიკი არ დაკარგვია და არც ერთი მამული არ შერჩენია. ჩვენს ბანკს შეეძლო გაცემულზედ მეტი ფული გაესესხებინა წინ-დაუხედავათ და უადგილო გამბედაობით რომ ემოქმედებინა. მაგალითებრ, თუმცა ქუთაისის ბანკს ნება აქვს ფული აფხაზეთში გაასესხოს და კიდეც იქაურნი მამულის მეპატრონენი თხოულობდენ ფულის მისესხებას, მაგრამ ომიანობის და არეულობის მიზეზისაგამო მან ვერ გაბედა ამ მხარეში ფულის გაცემა. მინამ ეს მხარე არ დაეწყობა, იქ მკვიდრი წესიერება და მეურნეობა არ დამყარდება, ჩვენი ბენკი იქ ფულის გაცემას ვერ გაბედავს. ამ გვარსავე სიფრთხილეს მიზდევს საზოგადო კრება ჩვენის ბანკისა. წარსულს კრებაში ზოგიერთი წევრის აზრი იყო, რომ ჩვენს ბანკს გაევრცელებინა თავის მოქმედობა მთელს კავკასიის აქეთა მხარეში; მაგრამ საზოგადო კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ ჩვენ კარგათ არ ვიცნობთ აღმოსავლეთის ნაწილს ხსენებულის მხარისას, რომელზედაც სხვა ტომის ხალხი სცხოვრებს; რომ იქ მიწის მფლობელობა კარგათ არ არის გარკვეული; რომ ქუთაისის ბანკისთვის ძალიან ძნელია იქაურს უძრავს მამულებზედ ნამდვილი ცნობები შეკრიბოს და რომ ამ მიზეზებისაგამო ადვილად შესაძლებელია ბანკმა სარგებლობის მაგიერ ზარალი ნახოს, ამისათვის კრებამ უარ-ჰყო წინადადება, რომ ბანკს აღნიშნულს მხარეში მოქმედება გაევრცელებინოს და ნება დართო ფული გასცეს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში, სადაც ზემოხსენებულნი პირობანი არ არსებობენ.

რაც შეეხება მსესხებლების შემსუბუქებას, ჩვენ კარგათ გვახსოვს, რომ სესხის გაიაფება თავ-და-პირველი სურვილი იყო ბანკის დამფუძნებელთა. მით უმეტეს ეს შეადგენს სამართლიანს სურვილს თვით მსესხებლებისა, რომელნიც ურთი-ერთს თავდებობას კისრულობენ, და რომელნიც ამასთანავე ბანკის საზოგადოების წევრნი არიან. ჩვენს ყოველს ღონის-ძიებას ვხმარობთ, რაც კი ჩვენს მეცადინეობაზედ არის დამოკიდებული სესხის პირობები შევამსუბუქოთ.

მაგრამ საკმაოა ჩვენს მოქმედებაზედ ვილაპარაკოთ. ჩვენ არ გვეკუთვნის ამაზედ საუბარი თვითონ გავავრცელოთ; თვით საქმემ უნდა გამოაჩინოს და ჩვენი ბანკის საზოგადოებამ დაინახოს, რამდენად მარჯვედ და გულ-მოდგინეთ ვაწარმოებთ ჩვენ საქმეს, რომელიც მან ჩვენ გვარწმუნა და მოგვანდო. ჩვენ მხოლოდ მისთვის საჭიროდ დავინახეთ ზემოხსენებულზე მოგველაპარაკა, რომ ვაპირებთ ახალ გამოჩენილს ასპარეზზედაც იმ გვარათვე ვიმოქმედოთ, როგორც ძველზე. ჩვენ მისთვის არ მივისწრაფით ტფილისისაკენ, რომ ურიგო კონკურენციით ჩვენსკენ მსესხელები გადმოვიბიროთ და მამულის ძვირათ დაფასებით იქ ბევრი ფული გავსცეთ. ერთის სიტყვით, ჩვენ არაოდეს არ ვიკადრებთ იმ გვარს საშუალებას, რომელსაც სხვა ქვეყნებში სააქციონერო ბანკები ხმარობენ ხოლმე მისთვის, რომ ერთი მეორეს მსესხველი ხელიდამ გამოგლიჯონ. არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ორივე ბანკი, ტფილისისა და ქუთაისისა, ერთსა და იმავე ხალხსა ეკუთვნის და ორთავეს ერთი და იგივე მიზანი აქვს. ჩვენ სწორეთ ვაპირებთ გავუმართოთ ტფილისის ბანკს იმ გვარი კეთილშობილური ცილება და კონკურენცია, რომელზედაც ლაპარაკობს პატივ-ცემული ავტორი ზემო-ხსენებულის სტატიისა და რომელიც ორივე ბანკს განამხნევებს და იმერთ-ამერთათვის სასარგებლო დარჩება. მაგალითებრ, ჩვენ ვფიქრობთ ვიყოლიოთ ტფილისში ჩვენი საკუთარი მოხელე, აგენტი, რომელიც მსესხებელს ფულს მისცემს, მათ ბანკში შესატანს სარგებელს გამოართმევს და ამასთანავე გვინდა, თუ ეს შესაძლო დარჩა, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ტფილისის გუბერნიის მსესხელებისათვის ქუთაისში ჩამოსვლა საჭირო არ დარჩეს. თუ ღმერთმა წარმართა ჩვენი ბანკის საქმე, ბლომათ გავეცით სესხი და მით ჩვენს ნაღდს მოგებას მოემატა, ჩვენ ვფიქრობთ საზოგადო კრებას ჩვენი მოსაზრება წარვუდგინოთ სესხზედ სარგებლის შემცირების თაობაზედ. ვეცდებით აგრეთვე მთხოვნელებს ჩქარა საქმე გავუთავოთ, ფული მალე მივცეთ და ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ, რომ მათ სესხის გატანა გავუადვილოთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ პატივ-ცემულნი წევრნი ტფილისის ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობისა ამ გვარს ჩვენს მოქმედებაში არავითარს სათაკილო და მავნებელს ცილებას არ დაინახვენ.

როგორც ჩვენ შეტყობილი გვაქვს, ტფილისის ბანკი მთავრობის ნებართვას თხოულობს, რათა თავისი მოქმედება მთელს კავკასიის გადმოღმა მხარეებში გაავრცელოს. ჩვენის მხრით ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ ხსენებული სურვილი მალე აღსრულდა და ტფილისის ბანკმაც დაიწყო მოქმედება ქუთაისის გუბერნიაში. ტფილისის ბანკის მოქმედება ჩვენში სასარგებლო იქნება ჩვენთვის აი რომელი მხრით: მოგეხსენებათ, ერთი ჭკუა კარგი არისო და ორი კიდევ უკეთესიო; ამასთანავე შემჩნეულია, რომ ხშირად ახლად მოსული კაცი უფრო ადვილათ შეამჩნევს ზოგიერთს მხარეს რომელიმე საგნისას, მინამ ის კაცი, რომელსაც ეს საგანი მუდამ თვალ-წინ უძევს და მის გამო თვალი შეჩვეული აქვს. ტფილისის ბანკის მოხელე პირნი, ეჭვი არ არის, როცა ჩვენში მოქმედებას დაიწყებენ, აქაურს უძრავს ქონების მდგომარეობას დაუკვირდებიან და იქნება თავის გამოკვლევით ბევრი იმ გვარი მხარე ამოაჩინონ, რომლის ცოდნა ჩვენთვის სასარგებლო დარჩება.

რაც შეეხება სესხის ბლომათ გაცემას, გვერწმუნეთ, ეს საგანი ჩვენ დიდათ არ გვაწუხებს. ჩვენს ზევით არა გვყავს იმ გვარი საზოგადოება, რომელიც გვაჩქარებდეს და თხოულობდეს ჩვენგან ბლომათ და სიჩქარით სესხის გაცემას და ამით მოგების გამრავლებას. ჩვენ მუდამ გვექმნება სახეში რჩევა, რომელიც პატივ-ცემულმა დირექტორმა ფინანსის მინისტრის საკრედიტო კანცელარიისა *) ციმსენმა მისცა ჩვენს ბანკს. როცა ჩვენი გამგეობის თავ-მჯდომარე მას პეტერბურღში წარუდგა ნოემბრის თვეში წარსულის წლისა, ციმსენმა უთხრა:

„ნუ აჰყვებით იმ საადგილ-მამულო ბანკებს, რომელთაც თავის დიდება და წარმატება მხოლოდ დიდ ძალს გამოცემულს გირაოს ფურცლებში მიაჩნიათ. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა იმოქმედოს იმ გვარი სიფრთხილით და წინ-დახედვით, როგორც აქამდის მოქმედებდა. მერწმუნეთ, საბოლოოთ ეს სანანებლათ არ დაგირჩებათ.“

მართლა და სამი მილიონი და რამოდენიმე ასი ათასი მანეთი, რომელიც ამას იქით ქუთაისის ბანკს შეუძლიან, თავის წესდების ძალით, გაასესხოს, ისე დიდი ფული არ არის, რომ თავის დროზედ მისი გაცემისა იმედი დავკარგოთ და რომ ამისთვის ავჩქარდეთ და ჩვეულებრივს სიფრთხილეს გადვუდგეთ. როცა ტფილისის ბანკი გაავრცელებს თავის მოქმედებას მთელს კავკასიის აქეთა მხარეს, ამ მხარეში იმოდენა სესხის მთხოვნელები გამოჩნდებიან, რომ, ღმერთმა ორთავე ბანკს მისცეს ღონის-ძიება, ისინი დააკმაყოფილონ.

თავმჯდომარე ქუთაისის სააზნაურო ბანკის გამგეობისა
ნ. დოდოშერიძე.
წევრნი { თ. დავით ერისთავი.
მ. ფაღავა.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

როდესაც ლორის-მელიქოვს ესროლეს რევოლვერი, სამი ყმაწვილი კაცი იდგნენ მდინარე მოიკას მეორე მხარეზე და უყურებდნენ — თუ როგორ აასრულებს მოლოდეცკი თავის განზრახვას. როცა ამ ყმაწვილებმა ნახეს, რომ მათი სურვილი არ ასრულდა, გაიქცნენ და ერთმა იმათგანმა კიდეც წარმოსთქვა სინანული, რომ ვერ აუსრულდათ ეს საქმე. ამ დროს ახლო-მახლო იდგა ერთი ჟანდარმი და შეიტყო ეს თუ არა, გამოუდგა მათ; მეორე ჟანდარმებიც მოეშველნენ და სამივე ყმაწვილი კაცი დაიჭირეს.

—

„მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ახალ-თეკეს ექსპედიციის მთავარი სარდალი ღენერალ-მაიორი ლამაკინი დათხოვნილია სამსახურიდამ ხუთი თვით საზღვარ გარეთ იმის მაგივრად დანიშნეს პოლკოვნიკი პეტრუსევი, რომელსაც ღენერალ-მაიორობა მისცეს.

—

პეტერბურღის ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია დაწვრილებითი ამბავი საიდუმლო სტამბის პოვნის შესახებ. შუა მესჩანსკის ქუჩაზე, კოზლოვის სახლში, იპოვნეს საიდუმლო სტამბა. ამ სტამბაში ყველა ხელოსანს მოჰქონდათ საჭირო მასალები და ბეჭდავდნენ ხელის მაშინებით. სტამბის პატრონებს მუდმივი სადგომი არა ჰქონდათ; ერთ ადგილიდგან მეორე ადგილზე გადადიოდნენ. სტამბა იპოვნა საიდუმლო პოლიციამ. სახლის პატრონი კოზლოვი იყო მესამე განყოფილების მოსამსახურე პირი, იმან სრულებით არ იცოდა თუ რა ამბავი ხდებოდა იმის სახლში...

უცხოეთი

—

წვრილი ამები. 22 მარტს. (13 აპრილს) ახლად განთავისუფლებულს ბოლგარიაში გაიხსნა პარლამენტი, რომელშიაც წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად 15 კანონ-პროექტი; სხვათა შორის არის პროექტი საპოლიციო სასამართლოზე, საშუალ და მდაბალ სასწავლებლებზე, მეურნეობის გადასახადზე და სახალხო ბანკზე.

—

თითქმის მთელი ჟურნალ-გაზეთობა საფრანგეთისა სიხარულით უყურებს ინგლისში საპარლამენტო არჩევნის მსვლელობას. იმედოვნებენ, რომ თუ ვინიცობაა ლიბერალთა ერთმა და ერთმა წარმომადგენელმა, გლადსტონი იქნება თუ გარტინგტონი, ჩაიგდო ხელში მმართველობის ჩარხი, მაშინ იგი უთუოდ ეცდება ინგლის-საფრანგეთს-რუსეთს შორის ზავი შეჰკრასო, და ამ რიგად წინააღმდეგობას შეუდგენს და გაუწევს გერმანიას და ავსტრიასო.

—

საფრანგეთის სამინისტროს თავს-მჯდომარეს **ფრეისინეს** და სახალხო განათლების მინისტერს **ფერრის** **ფიჟაკის** ქალაქის რჩევისაგან მიუღიათ წერილი, რომელშიაც ულოცავენ, მათ იეზუიტთა წინააღმდეგ კეთილგონიერ საშუალების (ე. ი. განძევების) მიღებას და ორს სხვა საშუალებაზე აქცევს მათ ყურადღებას, რომელნიც უთუოდ უნდა მოსდევდნენ პირველს. ეს საშუალებანი არიან: ეკკლესიის სრულიადი განცალკევება სახელმწიფოსაგან და საეკკლესიო უწყე-

---

*) ამ კანცელარიასთან დამოკიდებულება აქვს ყოველს რუსეთის ბანკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის სახელმწიფო ხაზინიდამ შემწეობის მოსპობა.

—

საფრანგეთიდამ განსაძევებელნი იეზუიტები სამზღვარ-გარეთ ეძებენ დასასახლებელ ადგილებს. პარიჟელ იეზუიტების ჯერსის კუნძულზე (ამანსას სრუტეში) აქვსთ დასახლების განზრახვა, ჩრდილოეთ საფრანგეთის იეზუიტებს—ბელგიაში, ბორდოს იეზუიტებს—სან-სებასტიანში (ესპანიაში) და ლიონის იეზუიტებს მონაკოს სამთავროში. ამ რიგად ყველანი საფრანგეთის სამზღვრებზე იცხოვრებენ, სადაც ადვილად შეუძლიანთ მოზარდ თაობის აღზრდა განაგრძონ.

—

როგორც მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელ ხანებში ირლანდიაში შიმშილია, რომლის გამო ერთი გამოჩენილი ირლანდიელი პარნელლი ამერიკაში გაემგზავრა შეერთებულ-შტატების რესპუბლიკისაგან დახმარების სათხოვნელად. როგორც გაზეთები გვატყობინებდნენ, ყოველგან, სადაც კი პარნელლი მივიდოდა, ხალხი აღტაცებით უხვდებოდა მას. ზაგის გაზეთი «Staats Courent»-ი გვატყობინებს ეხლა, რომ ამერიკაში შეგროვილი ფული ირლანდიელთ სასარგებლოდ 1,002,600 დოლლარამდე (ერთ მილიონ სამას ათას მანეთამდინ) მიაღწევსო. ირლანდიელების გადასახლება ნევ-იორკში თან-და-თან მატულობსო. მარტო უკანასკნელს კვირაში გადასახლებულა 3,000-ზე მეტი.

◆

ნარევი

—

ბისმარკის ორდენები. ბისმარკს სულ 482 ჯვრები, მენდლები, და სხვა-და-სხვა ორდენები აქვს. რომ სულ ყველა ეს ორდენები ატაროს კაცმა, სამი საჟენის სიგანე გული უნდა ჰქონდეს.

⁂

ახირებული განცხადება. ერთი ამერიკელი ოჯახობით წავიდა აბანოებზედ. იმან კარებზედ მიაკრა შემდეგი განცხადება:

„ქურდებსა: ჩემი ფულები და ყოველივე ძვირ-ფასა რამეები აწყვია სახელმწიფო ბანკში. ამ სახლში დატოვებულ სკივრებში და ჩემოდნებში მხოლოდ ძველი და უხმარი, იაფფასიანი ტანისამოსებია. ვინც არ ერწმუნებით ამ სიტყვებს, გასაღებები სასტუმრო ოთახის სტოლზედ აწყვია. თქვენ იქ იპოვით 50 დოლლარის ვექსილებს, რომელიც დაგაჯილდოებსთ თქვენ დროს დაკარგვისათვის და მოცდენისათვის. გთხოვთ ამასთანავე, ჩემს ოთახში შესვლის დროს ფეხები კარგათ გაიწმინდოთ და სანთელს ნუ დაალევენთებთ ხალიჩებზედ.“

განცხადებანი

—

მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაცეიის მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაკში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარპინსკი.

(25—2)

ქუთაისის საურთიერთო

ბანქისაგან

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივის-ცემით აცხადებს საყოველთაოდ საცნობლად, რომ საზოგადოების ოპერაციებისათვის, რომელიც ამა წლის ორის აპრილიდგან დაიწყება, ის იხდის და იღებს, ცვლილების მოხდენამდის, წლიურს სარგებელს შემდეგის ზომით:

იხდის

საადებ-მიცემო ანგარიშებისათვის: უპირობოთ —	3½%
პირობით — —	4%
სამთავრო განძი—ფულებისათვის: მოთხოვნამდის — —	3½%
ერთის თვიდგან სამამდის —	5%
სამის თვიდგან ექვსამდის —	5½%
ექვსის თვიდგან ერთს წლამდის — — — — — —	6½%
ერთის წლიდგან ორს წლამდის — — — — — —	7%

იღებს

ვექსილების დისკონტისათვის: ორს თვემდის — —	10%
ორის თვიდგან ექვსამდის —	12%
სესხთათვის: სარგებლიანი ქაღალდების გირაოში — —	9%
საქონლის, კონოსამენტების, მოწმობების და კვიტანციების გირაოში — — — — —	12%
სპეციალურის საადებ-მიცემო ანგარიშებისათვის — — —	10%
სარგებლიანი ქაღალდებისა და კუპონების დისკონტისათვის	10%

მინდობილებათა ასრულებისათვის $^1/_{10}$%-დგან 2%-დის.

(3—1)

სავაჭრო სახლი
თ. ივანე კონსტანტინეს ძე
ბაგრატიონ-მუხრანსკი და კ-ი

ამით აცხადებს, რომ შეტანილს ფულზედ, სანამ შემდეგში ცვლილება არ მოხდება,

იხდის

მოთხოვნამდინ — —	3%
ვადამდინ შეტანილს ფულზედ	
ექვსი თვით — — — —	6%
ერთის წლით — — —	7%
ორის წლით და მეტით —	7½%

ამას გარდა მეორე ხარისხის შეტანილ ფულზედ ამხანაგობის კვიტანციით წელიწადში—8% და მეტიც.

(10—1)

ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემმიერ არასოდეს არ გაცემულ არს არავისზე არავითარი დოკუმენტი რომ ყოფილიყოს ნაწერი რუსულად; ამისათვის ვსთხოვ ყოველთა პირთა, ჩემთან საქმის მქონეთა, ამნაირი დოკუმენტები და ბარათები ჩემს სახელობაზედ არ მიიღოთ, რადგან იგი უეჭველად უსაფუძლო და ყალბი იქნება.

ბესარიონ მჭუკე.

(3—2)

იყიდება ქ. გორში ლუარსაბ მეღვინეთხუცესოვის ქვითკირის სახლი, რომელიც შეიცავს ორს ოთახს დერეფანით, ქვეშ სარდაფით თავისის ეზოთი საბალე ადგილით 400 კვადრატნი საჟენით და სარაიით.

ფასის შეტყობა შეიძლება გორში ალალო თუთაევთანა.

ლუარსაბ მეღვინეთხუცესოვი.

(3—2).

იყიდება არწრუნის ქარვასლაში ინგლისის მაღაზიაში: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ ქიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—12)

სავაჭრო სახლი

იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც 12 და **შინაგანი სესხის ბილეთების** ყიდვა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ამხანაგობის ავარ კან- მთ ტორაში, სადაც ეს ბილეთები კარგის პირობებით ისყიდება. მსყიდველს შეუძლიან ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით შემოიტანოს კანტორაში ფული დაწერილებით პირობების შეტყობა თვითონ კანტორაში შეიძლება.

(10—10)

მაქვს **გასასყიდი ლაგოდეხში** კარგი აბანოზის **ფიცრები 300** ცალი, კარგათ საფარავში შანახული, თითქმის თხუთმეტ წელიწად წინ მომზადებული, ერთ ზომაზე დახერხილი; სიგრძე არის რვა არშინი, სისქე ორი ვერშოკი, ფიცრების ზევითა პირებსა პოლის ფიცრის სიგანე აქვსო.

მსურველთ შეუძლიანთ პირობებისა და დაფასებისა გამო წერილებით მოიკითხონ ამ ადრესით: **Уроч. Лагодехи. (Тифл. губ.) Вдовѣ Варварѣ Аслановой**, ანუ **Въ Сигнахъ. Александру Абрамовичу Серебрякіанцу.**

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ღრამმატიკა

მოკლე სქემა პირველის ნაწილისა ღრამმატიკისა, რომელიც აჩვენებს ყრმათა მაგალითს და ადვილად დაწერგისათვის განყოფილებათა მათისა მოკლედ, რომლითაც უადვილესად შესაძლოა ამის გულის-ხმის ყოფა გულთა შინა.

შედგენილი თ. რაფ. ერისთვისაგან

ფასი 20 კაპეიკი.

—

„მოდი და ენდეთ ქალსა!“
ვოდევილი ერთ მოქმედებად
მ. ჯორჯაძისა
თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

—

„ქვრივის ლიმონები“
მოთხრ. გრ. რჩეულოვისა
გამოც. დავ. ბერიძისაგან
თფილ., 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

—

„სარიდონიანი“
პოემა, გამოც. ქ. ჩარექოვისაგან
თფილ. ფასი 30 კაპ.

—

საქართველოს მეფე
„ბაგრატ მეოთხე“
თხზ. დიმ. ბაქრაძისა

—

„სისხლის ძიება“
პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან
ალ. დეკანოზოვისა

Дозволено цензурою. Тифлисъ 31 Марта 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი